

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №68

2008 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ თანდართული დებულება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ვ. გურგენიძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულება (შემდგომში – დებულება) „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების (შემდგომში – საგანგებო სიტუაციები) შეფასებისა და საგანგებო სიტუაციების ზონის განსაზღვრის ერთიან წესებს.

მუხლი 2. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია

1. საგანგებო სიტუაციების კლასიფიცირება დამოკიდებულია ამ სიტუაციებში დაზარალებული ხალხის რაოდენობაზე, მატერიალური დანაკარგების ოდენობაზე, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ფაქტორების გავრცელების საზღვრებზე. მისი სახეობა განისაზღვრება საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით და ეცნობება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს.

2. საგანგებო სიტუაციები იყოფა შემდეგ სახეობებად: საობიექტო, ადგილობრივი, ტერიტორიული, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო. საგანგებო სიტუაციების კლასი, ჯგუფი და სახეობა განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების თანდართული კოდირების მიხედვით საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიმდინარეობის პროცესში.

3. საობიექტო საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს, ან სატრანსპორტო ავარიები, რომელთა შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული ობიექტის სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები, ხოლო დამხმარე ძალები ორ ეკიპაჟს არ აღემატება.

4. ადგილობრივი საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება დასახლებული პუნქტის (ქალაქის, მუნიციპალიტეტის) საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული დასახლებული პუნქტის (ქალაქის, რაიონის) სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები, ხოლო დამხმარე ძალები ორ ეკიპაჟს არ აღემატება.

5. ტერიტორიულ საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცდება ავტონომიური რესპუბლიკის (ან რეგიონის) ადმინისტრაციულ საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის (ან რეგიონის) სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

6. ეროვნულ საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები მოიცავს ორზე მეტი რეგიონის (ავტონომიური რესპუბლიკის და რეგიონის) საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოიყენება ქვეყნის სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

7. ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება საგანგებო სიტუაცია, რომლის დამაზიანებელი ფაქტორები სცდება საქართველოს საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოიყენება მეზობელი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები.

მუხლი 3. საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის წესი

1. საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება შესაბამისი საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობით.

2. საობიექტო საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება იმ ორგანიზაციების ძალებითა და საშუალებებით, სადაც შექმნილია საგანგებო სიტუაცია, ხოლო სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობას ახორციელებს ამავე ორგანიზაციის მიერ შექმნილი საგანგებო შტაბი.

3. ადგილობრივი საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძალებითა და საშუალებებით, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, ხოლო სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფები.

4. ტერიტორიული საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება იმ ავტონომიური რესპუბლიკის ძალებითა და საშუალებებით, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, ხოლო სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტრუქტურული დანაყოფები.

5. ეროვნული საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება ქვეყანაში არსებული ძალებითა და საშუალებებით, ხოლო სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი.

6. საობიექტო, ადგილობრივი და ტერიტორიული საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს, საკუთარი ძალებისა და საშუალებების უკმარისობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დახმარებისათვის მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

7. ეროვნული საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს, საკუთარი ძალებისა და საშუალებების უკმარისობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დახმარებისათვის მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

8. ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

9. საგანგებო სიტუაციების ზონაში საევაკუაციო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით.

10. სახანძრო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაცია ჩაითვლება დამთავრებულად.

11. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება მათი მონაწილე სამინისტროებისა და უწყებებისთვის წლიური საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

საგანგებო სიტუაციების კოდირება

საგანგებო სიტუაციების დასახელება	საგანგებო სიტუაციის			
	კოდი	კლასი	ჯგუფი	სახეობა
1	2	3	4	5
ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები		1		
სატრანსპორტო ავარიები (კატასტროფები)			01	
სატვირთო მატარებლების ავარიები	10101			01
სამგზავრო მატარებლების ავარიები	10102			02
მეტროპოლიტენის მატარებლების ავარიები	10103			03
საზღვაო სატრანსპორტო გემებისა და თევზსარეწი გემების ავარიები	10104			04
სამდინარო სატრანსპორტო გემებისა და თევზსარეწი გემების ავარიები	10105			05
საზღვაო-სამგზავრო გემების ავარიები	10106			06
სამდინარო-სამგზავრო გემების ავარიები	10107			07
ავიაკატასტროფები აეროპორტებსა და დასახლებულ პუნქტებში	10108			08
ავიაკატასტროფები აეროპორტებისა და დასახლებული პუნქტების გარეთ	10109			09
სატრანსპორტო ავარიები ხიდებზე, სარკინიგზო გადასასვლელებსა და გვირაბებში	10110			10
ავარიები (კატასტროფები) საავტომობილო გზებზე (მსხვილი საავტომობილო კატასტროფები)	10111			11
ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე	10112			12
ავარიები შიდასარეწ ნავთობსადენებზე	10113			13
ავარიები მცურავ საბურღ დანადგარებზე და საბურღ გემებზე	10114			14
ხანძრები, აფეთქებები, აფეთქების საფრთხეები			02	
ხანძრები (აფეთქებები) შენობებში, კომუნიკაციებსა და სამრეწველო ობიექტების ტექნოლოგიურ აღჭურვილობებზე	10201			01
ხანძრები (აფეთქებები) ადვილად აალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების დაზვერვის, მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ობიექტებზე	10202			02
ხანძრები (აფეთქებები) ტრანსპორტზე	10203			03
ხანძრები (აფეთქებები) შახტებში, მადაროებში, მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრებში	10204			04
ხანძრები (აფეთქებები) მეტროპოლიტენის ობიექტებზე	10205			05

ხანძრები (აფეთქებები) საცხოვრებელ, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობებსა და ნაგებობებში	10206	06
ხანძრები (აფეთქებები) ბიოლოგიურად საშიშ ობიექტებზე	10207	07
ხანძრები (აფეთქებები) ქიმიურად საშიშ ობიექტებზე	10208	08
ხანძრები (აფეთქებები) რადიაციულად საშიშ ობიექტებზე	10209	09
აუფეთქებელი საბრძოლო მასალების აღმოჩენა	10210	10
ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო მასალების აღმოჩენა (დაკარგვა)	10211	11
ხანძრები (აფეთქებები) ღია სივრცეში, ქუჩებში, ადამიანთა თავშეყრის ადგილებში (მიწისზედა ტრანსპორტის გაჩერებებზე, მეტროს სადგურების გამოსასვლელებში, ბაზრებში, პარკებში, სტადიონებსა და სხვა)	10212	12
ხანძრები (აფეთქებები) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე	10213	13
ხანძრები (აფეთქებები) მაგისტრალურ ნავთობ და გაზსადენებზე	10214	14
ხანძრები (აფეთქებები) მშენებარე ობიექტებზე	10215	15
ხანძრები (აფეთქებები) მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებით და წვადი თბოიზოლაციის გამოყენებით შესრულებულ შენობებსა და ნაგებობებში	10216	16
ხანძრები (აფეთქებები) ელექტროენერგეტიკულ სისტემებში	10217	17
ხანძრები (აფეთქებები) მიწისქვეშა გადასასვლელებში, საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების ქვეშ	10218	18
ხანძრები (აფეთქებები) საკულტო შენობებსა და დაწესებულებებში	10219	19
ტექნოგენური ხასიათის ტყის ხანძრები	10220	20
ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით)		03
ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) მათი წარმოებისას, გადამუშავებისას ან შენახვისას (დამარხვისას)	10301	01
ავარიები ტრანსპორტზე ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით)	10302	02
ქიმიურად საშიში ნივთიერებების წარმოქმნა და გავრცელება	10303	03
ავარიის შედეგად დაწყებული ქიმიური რეაქციის შედეგად ავარიები საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებებით მათი წარმოებისას, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავებისას	10304	04
ქიმიურად საშიში ნივთიერებების წყაროების აღმოჩენა (დაკარგვა) მეთანისა და სხვა საშიში ნივთიერებების, გაზების მოულოდნელი გამოტყორცნა	10305	05
ნავთობისა და გაზის გამოთავისუფლება საბადოებზე (ნავთობისა და გაზის ღია შადრევნები)	10306	06
ნავთობისა და გაზის გამოთავისუფლება საბადოებზე (ნავთობისა და გაზის ღია შადრევნები)	10307	07
გარემოში მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება		04
მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება გრუნტში	10401	01
მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება ატმოსფეროში	10402	02
მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრების ჰაერში		
მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება	10403	03
მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრების ჰაერში		
რადიოაქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება	10404	04

მავენ ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება ზედაპირულ წყლებში	10405	05
მავენ ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება სასმელ წყალში	10406	06
მავენ ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება მიწისქვეშა წყლებში	10407	07
მიწისქვეშა წყლებში რადიოაქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება	10408	08
ავარიები რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით)		05
ავარიები რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით)	10501	01
ავარიები მაიონებელი გამოსხივების წყაროებით	10502	02
ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე, საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ატომურ ენერგეტიკულ დანადგარებზე რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით)	10503	03
ატომური დანადგარებიანი ან ბორტზე რადიოაქტიური ნივთიერების მქონე სატრანსპორტო საშუალებებისა და კოსმოსური აპარატების ავარიები	10504	04
ავარიები სამრეწველო და საცდელი ატომური აფეთქე-ბებისას, ავარიები რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით)	10505	05
ავარიები ატომური საბრძოლო მასალების შენახვის ადგილებში მათი ექსპლუატაციისას, განადგურებისას ან ტრანსპორტირებისას მაიონებელი გამოსხივების წყაროების აღმოჩენა (დაკარგვა)	10506	06
	10507	07
რადიოაქტიური ნარჩენების ავარიები	10508	08
ატომური ან რადიოლოგიური ავარიები სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რომლებიც დაბინძურებით ემუქრება სახელმწიფოს ტერიტორიას	10509	09
ავარიები ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით)		06
ავარიები ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) საწარმოებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (ლაბორატორიებში)	10601	01
ავარიები ტრანსპორტზე ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით)	10602	02
ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების აღმოჩენა (დაკარგვა)	10603	03
შენობების, ნაგებობების, ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა		07
სატრანსპორტო კომუნიკაციების ელემენტების ჩამოქცევა	10701	01
საწარმოო დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების ჩამოქცევა	10702	02
საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების ჩამოქცევა	10703	03
ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ჩამოქცევა სამთო გამონამუშევრებში, კარიერების ჩათვლით	10704	04
ავარიები მიწისქვეშა ნაგებობებზე	10705	05
ავარიები ელექტროენერგეტიკულ სისტემებში		08
ავარიები ჰიდროელექტროსადგურებზე	10801	01
ავარიები თბოელექტროსადგურებზე	10802	02
ავარიები ავტონომიურ ელექტროენერგეტიკულ სადგურებზე	10803	03

ავარიები სხვა ელექტროენერგეტიკულ სადგურებზე	10804	04
ავარიები ელექტროქსელებში	10805	05
სატრანსპორტო ელექტრული საკონტაქტო ქსელების მწყობრიდან გამოსვლა	10806	06
ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემის მთლიანობის დარღვევა ან ნაწილებად დაყოფა	10807	07
ავარიები ავტონომიურ ელექტროსადგურებზე, ყველა მომხმარებლის ელექტრომომარაგების ხანგრძლივი შეწყვეტით	10808	08
ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებზე (ქსელებზე) ძირითადი მომხმარებლების ან ვრცელი ტერიტორიების ელექტრომომარაგების ხანგრძლივი შეწყვეტით	10809	09
ავარიები სასიცოცხლო უზრუნველყოფის კომუნალურ სისტემებში		09
ავარიები საკანალიზაციო სისტემებში, დამაბინძურებელი ნივთიერებების მასობრივი გამოთავისუფლებით	10901	01
ავარიები გათბობის (ცხელი წყლით მომარაგების) სისტემებში წელიწადის ცივ პერიოდში	10902	02
ავარია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემებზე	10903	03
ავარიები კომუნალურ გაზსადენებზე	10904	04
ავარიები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემებზე		10
ავარიები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემებზე	11001	01
ავარიები სამრეწველო გამწმენდ ნაგებობებზე		11
ავარიები სამრეწველო საწარმოების ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში, რომლებიც მასობრივად გამოათავისუფლებენ დამაბინძურებელ ნივთიერებებს	11101	01
ავარიები სამრეწველო გაზების გამწმენდ დანადგარებზე, რომლებიც მასობრივად გამოათავისუფლებენ დამაბინძურებელ ნივთიერებებს	11102	02
ჰიდროდინამიკური ავარიები		12
კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა დამანგრეველი ტალღისა და კატასტროფული დატბორვის წარმოქმნით	11201	01
კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა დამანგრეველი წყალმოვარდნის წარმოქმნით	11202	02
წყლის ავარიული გაშვება ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავიდან ჰიდროკაშხლის გარღვევის საშიშროებასთან დაკავშირებით	11203	03
კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა ვრცელ ტერიტორიაზე ნაყოფიერი მიწების ჩარეცხვით ან დაშლამვით	11204	04
მცურავი ქანების, პულპებისა და თიხოვანი მასის გარღვევა, აგრეთვე მოქმედი სამთო გამონამუშევრების დატბორვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას	11205	05
სანაპირო ზოლის გამორეცხვა შტორმული მოდენებით	11206	06
ავარიები ნავთობისა და გაზის სამრეწველო კომპლექსების სისტემებში		13
ავარიები საბურღი დანადგარებზე ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოქმნით	11301	01
ავარიები ჭაბურღილებზე ნავთობის, გაზის ან წყლის გამოთავისუფლებით	11302	02
ავარიები მოქმედ ჭაბურღილებზე ნავთობისა და გაზის ღია	11303	03

შადრევნების წარმოქმნით ავარიები დაკონსერვებულ ჭაბურღილებზე ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოქმნით	11304	04
ავარიები ნავთობბაზებსა და ნავთობსაცავებზე	11305	05
კოსმოსური ხასიათის საგანგებო სიტუაციები		14
უცხო სხეულის შეჯახება დედამიწასთან	11401	01
კოსმოსური მფრინავი აპარატებისა და მათი ნამსხვრევების ჩამოცვენა	11402	02
რადიაციული ვითარების გაუარესება დედამიწის სიახლოვეს კოსმოსურ სივრცეში	11403	03
ანომალური ატმოსფერული მოვლენების წარმოქმნა	11404	04
ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები	2	
სახიფათო გეოფიზიკური მოვლენები		01
მიწისძვრები	20101	01
ვულკანის ამოფრქვევა	20102	02
სახიფათო გეოლოგიური მოვლენები		02
ტალახოვანი ვულკანის ამოფრქვევა	20201	01
მეწყერები	20202	02
ჩამოცვენა, ჩამოშლა, ქვათა ცვენა	20203	03
კარსტული ჩამოქცევა	20204	04
ღვარცოფი	20205	05
ფერდობული გამორეცხვა	20206	06
ლიოსისებრი ქანების დაჯდომა	20207	07
აბრაზია, ეროზია	20208	08
კურუმი	20209	09
სახიფათო მეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური მოვლენები		03
ქარიშხლები (9-11 ბალის)	20301	01
გრიგალები (12-15 ბალის)	20302	02
ქარიშხლები, ქარბორბალები	20303	03
გრიგალები	20304	04
ვერტიკალური გრიგალები	20305	05
მტვრის ქარიშხლები	20306	06
მსხვილი სეტყვა	20307	07
ძლიერი წვიმები (თავსხმა)	20308	08
კოკისპირული წვიმები	20309	09
ხანგრძლივი წვიმები	20310	10
ძლიერი თოვა	20311	11
თოვლის ძლიერი მიკვრა	20312	12

ძლიერი გაყინვა	20313	13
ძლიერი ქარბუქები	20314	14
ძლიერი მოყინულობა	20315	15
ძლიერი ყინვა	20316	16
ძლიერი სიცხე	20317	17
ძლიერი ნისლი	20318	18
გვალვა	20319	19
სუსხი	20320	20
ხორშაკი	20321	21
ძლიერი ჭექა-ქუხილი	20322	22
თოვლის ზვავები	20323	23
ტყის ხანძრების მომეტებული საფრთხე	20324	24
ზღვის სახიფათო ჰიდროლოგიური მოვლენები		04
ტროპიკული ციკლონი (ტაიფუნი)	20401	01
ცუნამები	20402	02
ძლიერი ღელვა	20403	03
ზღვის დონის ძლიერი ცვალებადობა	20404	04
ძლიერი მორევი პორტებში	20405	05
ადრეული ყინულსაფარი ან ნარჩილი	20406	06
ყინულების დაწნევა, ყინულების ინტენსიური დრეიფი	20407	07
გემებისა და საპორტო ნაგებობების შემოყინვა	20408	08
სანაპირო ყინულის მოწყვეტა	20409	09
გაუვალი (ძნელად გასავლელი) ყინული	20410	10
მცურავი საშუალებების შებოჭვა და მათი დაღუპვა ყინულის დაწნევით	20411	11
სახიფათო ჰიდროლოგიური მოვლენები		05
წყლის მაღალი დონე (წყალდიდობა)	20501	01
წყალდიდობა (წყალუხვობა)	20502	02
წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნა	20503	03
ხერგილები	20504	04
წყალმცირობა	20505	05
წყლის დაბალი დონე	20506	06
ადრეული მოყინვა და ყინულის წარმოქმნა სანაოსნო წყალსაცავებსა და მდინარეებზე	20507	07
ინტენსიური ყინულსვლა	20508	08
სახიფათო ჰიდროგეოლოგიური მოვლენები		06
გრუნტის წყლების დაბალი დონე	20601	01

გრუნტის წყლების მაღალი დონე (შეტბორვა)	20602	02
ბუნებრივი ხანძრები		07
ტყის ხანძრები	20701	01
ველებისა და პურეულის მასივების ხანძრები	20702	02
ტორფული ხანძრები	20703	03
წვადი წიაღისეულის მიწისქვეშა ხანძრები	20704	04
ადამიანების გადამდები დაავადებები		08
ეგზოტიკური და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ერთეული შემთხვევები	20801	01
საშიში ინფექციების ჯგუფური შემთხვევები	20802	02
საშიში ინფექციების ეპიდემიური აფეთქებები	20803	03
ეპიდემიები	20804	04
პანდემიები	20805	05
ადამიანების საშიში ინფექციები დაუდგენელი ეტიოლოგიით	20806	06
ადამიანების მოშხამვა		09
ადამიანების მოშხამვა კვების პროდუქტების გამოყენების შედეგად	20901	01
ადამიანების მოშხამვა წყლის გამოყენების შედეგად	20902	02
ადამიანების მოშხამვა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (შემთხვევითი ფაქტების გარდა)	20903	03
ადამიანების მოშხამვა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (ჯგუფური შემთხვევები)	20904	04
ადამიანების მოშხამვა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (მასობრივი შემთხვევები)	20905	05
სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფექციური დაავადებები		10
ეგზოტიკური და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ერთეული შემთხვევები	21001	01
ენზოოტიები	21002	02
ეპიზოოტიები	21003	03
პანზოოტიები	21004	04
სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და წყლის ორგანიზმების (ჰიდრობიონტების) ინფექციური დაავადებები გამოუვლენი ეტიოლოგიებით	21005	05
წყლის ცხოველებისა და ჰიდრობიონტების ინფექციური დაავადებები	21006	06
სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მასობრივი მოწამვლა		11
სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მასობრივი მოწამვლა	21101	01
გარეული ცხოველების მასობრივი დაღუპვა		12
გარეული ცხოველების მასობრივი დაღუპვა	21201	01
სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დასნეობუნება დაავადებებითა და მავნებლებით		13


პანფიტოტია

პროგრესირებადი ეპიფიტოტია	21301	01
სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაავადება გამოუვლენელი ეთიოლოგიებით	21302	02
მცენარეთა მავნებლების მასობრივი გავრცელება	21303	03
ხმელეთის (ნიადაგის, წიაღის, ლანდშაფტის) მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები		14
მიწის ზედაპირის კატასტროფული დაწევა, მეწყერები, ჩამოქცევები, რომლებიც გამოწვეულია წიაღისეულის მოპოვებისას წიაღის დამუშავებით და ადამიანის სხვა საქმიანობით	21401	01
ნიადაგის ინტენსიური დეგრადაცია, ნიადაგის ეროზიით, მარილიანობის მომატებით, დაჭაობებით გამოწვეული ვრცელი ტერიტორიების გაუდაბნობა	21402	01
სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების საცავების (ნაგავსაყრელების) გადავსებით და ამ მიზეზის გამო გარემოს დაბინძურებით გამოწვეული კრიტიკული სიტუაციები	21403	03
ატმოსფეროს (საჰაერო გარემოს) შემადგენლობისა და თვისებების ცვლილებასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები		15
ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად გამოწვეული ამინდისა ან კლიმატის მკვეთრი ცვლილება	21501	01
ტემპერატურული ინვერსიები ქალაქების თავზე	21502	02
ჟანგბადის უკმარისობა ქალაქებში	21503	03
ქალაქის ხმაურის მაქსიმალურად დასაშვები დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება	21504	04
მჟავური ნალექების მოსვლა	21505	05
ატმოსფეროს ოზონის ფენის დაშლა	21506	06
ატმოსფეროს გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი ცვლილება	21507	07
რადიაციის დონის მომატება	21508	08
ჰიდროსფეროს (წყლის გარემოს) მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები		16
წყლის მარაგების (წყაროების) გამოლევივით, დაბინძურებით გამოწვეული სასმელი წყლის მკვეთრი უკმარისობა	21601	01
სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისა და ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფისათვის საჭირო წყლის რესურსების გამოლევა	21602	02
ბიოსფეროს მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები		17
საცხოვრებელი გარემო პირობების ცვლილებებზე მგრძნობიარე ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გაქრობა	21701	01
მცენარეთა დაღუპვა ვრცელ ტერიტორიებზე	21702	02
განახლებადი რესურსების კვლავწარმოებაზე ბიოსფეროს უნარის მკვეთრი ცვლილება	21703	03

შენიშვნა:

საგანგებო სიტუაციას ენიჭება ხუთციფრიანი კოდი (XXXXX), რომელიც ითვალისწინებს მის კლასს, ჯგუფსა და სახეობას.

საგანგებო სიტუაციის კოდის სტრუქტურა ყალიბდება შემდეგი სქემით:



მაგალითი:

საგანგებო სიტუაციის კოდი 10112.

1 – კლასი: ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაცია;

01 _ ჯგუფი: სატრანსპორტო ავარიები;

12 _ სახეობა: ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე.